დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109253431**

თარიღი:**09/12/2025**

„დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ 428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს Nგ-109. 109252395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურისათვის“ (ს/ნ 428881310) იაპონიის საელჩოსგან, დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 აგვისტოს Nგ-109.109252395 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურს“ (ს/ნ 428881310), დმანისის მუნიციპალიტეტის სახელით, გააფორმოს ხელშეკრულება იაპონიის საელჩოსთან გრანტის/საჩუქრის სახით 72,086.00 (სამოცდათორმეტი ათას ოთხმოცდაექვსი) აშშ დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში, თანხის მიღების თაობაზე, პროექტის „დმანისის მუნიციპალიტეტში ალტერნატიული საბავშვო ბაღის დაარსება“ განსახორციელებლად.“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბა ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი